ირანისტიკა (Iranian Studies)

MA

სავალდებულო კურსები

(Compulsorily courses)

1. *ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა*
   Comparative Grammar of Iranian Languages

კურსი შეისწავლის ირანულ ენათა ადგილსა და მათ თავისებურებებს ზოგადად ინდოევროპულ ოჯახში და კერძოდ, არიულ (ინდოირანულ) ენობრივ ჯგუფში. სტუდენტი გაეცნობა ირანულ ენათა ურთიერთმიმართების საკითხს ამ ენათა ისტორიულ-დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ნაწილობრივ ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

2. *ირანის ძველი რელიგიები*
   Ancient Religions of Iran

დისციპლინა შეისწავლის ირანის ძველი რელიგიებს – ზოროასტრიზმის, მითრაიზმისა და მანიქეიზმის საფუძვლებს, ძირითად დებულებებს, კანონებს, კულტებს, რიტუალებსა და ქურუმების ინსტიტუტს. კურსის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ რელიგიების კავშირის დადგენას ქრისტიანობასთან და მათი გამოძახილების განხილვას საქართველოში.

3. *სპეცკურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში*
   Special Course in Classic Persian Literature

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია კლასიკური სპარსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებში სტუდენტის ცოდნის გაღრმავება, კლასიკური სპარსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების საფუძვლიანი შესწავლა.

4. *სპეცკურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში*
   Special Course in Modern Persian Literature

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე სპარსული ლიტერატურის საკვანძო პრობლემატიკას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამედროვე სპარსული ნოველის არსის, ხასიათისა და ძირითადი მახასიათებლების შესწავლას, სპარსული პროზის არეალში და, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურის სივრცეში მისი ადგილის განსაზღვრას.

5. *სპარსულიდან ქართულად თარგმნის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები*
   Semantic and Stylistic Aspects of Translation from Persian to Georgian

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტს გამოუმუშავდეს მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემატიკაზე მუშაობის ჩვევები; მაგისტრანტი გაანალიზებს თარგმანის თეორიის ძირითად საკითხებს, რათა მომავალში შეძლოს პრაქტიკულად აითვისოს მთარგმნელობითი საქმიანობის უნარ-ჩვევები.

6. *სპარსული პრესის ენა*
   The Language of Persian Press

კურსის მსვლელობისას მაგისტრანტი შისწავლის თანამედროვე ირანული პრესისა და მასმედიის ენას, გაეცნობა ამ სფეროში დამკვიდრებულ ენობრივ კლიშეებსა და ნორმებს, ყურადღება გამახვილდება უახლეს ენობრივ ცვლილებებსა და ტენდენციებზე, რადგან სპარსული ენის შემთხვევაში ამას განსაკუთრებული ნიშვნელობა ენიჭება, რაც თანამედროვე ირანის ენობრივი პოლიტიკითა არის განპირობებული.

7. *სპარსული მეტყველების კულტურა*
   The Culture of Persian Speech

კურსის ფარგლებში მაგისტრანტი შეისწავლის ირანულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზეპირ მეტყველებასა და წერის კულტურას, ენაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტსა და ქცევის ნორმებს. ამასთანავე, სტუდენტი გაეცნობა სპარსულ ენაზე ოფიციალური დოკუმენტების, საქმიანი ქაღალდების, სამეცნიერო სტატიისა თუ ნაშრომის წერისა და გაფორმების წესებს.

8. *სუფიზმი და სპარსული სუფიური ლიტერატურა*
   Sufism and Persian Sufi Literature

კურსი ითვალისწინებს გააცნოს სტუდენტს ზოგადად მისტიციზმის და, კერძოდ, ისლამური მისტიციზმის პრობლემატიკა, აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების – სუფიზმის საფუძვლები; მისი სხვადასხვა მიმდინარეობები; სპარსული სუფიური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები.

9. *სპარსული დიალექტოლოგია*
   Persian Dialectology

კურსი შეისწავლის სპარსული დიალექტოლოგიის თეორიულ საკითხებს, კერძოდ: ირანული ენებსა და დიალექტებს, ძველირანულ ენათა დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლებს; საშუალოირანული ენობრივი ეპოქის დიალექტოლოგიურ

მიმართებებს; ახალირანულ ენობრივ ეპოქას, თანამედროვე სპარსული ენის დიალექტებსა და კილოკავებს.

10. სპეცკურსი ახალ სპარსულ ენაში
Special Course in Modern Persian Language

კურსი ითვალისწინებს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის (სპარსული ენა 1-7) გაღრმავებას, გაფართოებასა და დახვეწას. წარმოდგენილ სასწავლო კურსში თავმოყრილი ინფორმაცია, ფიქსირებული ფორმები და გამოთქმები ხელს შეუწყობს ირანისტი-მეცნიერის, მთარგმნელისა და თარჯიმნის ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.

11. ირანის წყაროთმცოდნეობა
Primary Sources on Iranian History

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ირანის ისტორიის წყაროებს. ყურადღება გამახვილდება სპარსული წყაროების შესწავლასა და ირანის ისტორიის ქართული და ევროპული წყაროების გაცნობაზე. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ გაიაზრონ სპარსული ისტორიული აზრის ევოლუციის პროცესი, შეაჯერონ სხვადასხვა წყაროები და ასევე შეადარონ ისინი ქართული და ევროპული წყაროების მონაცემებს.

12. შარიათი
Shariat

კურსი შეისწავლის ისლამური კანონმდებლობის (შარიათის) თეორიასა და პრაქტიკას. განხილული იქნება ისლამური სამართლის განვითარება ისტორიულ კონტექსტში, მისი ძირითად დარგები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება შარიათის როლზე თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში; ისლამური სამართლის ცნებებისა და ტერმინების განხილვისას გაანალიზებული იქნება ქართული მასალაც.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. სპარსული ფრაზეოლოგია
Persian Phraseology

კურსი შეისწავლის სპარსული ფრაზეოლოგიის პრობლემატიკას, ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკურ სტრუქტურას. სტუდენტი გაეცნობა სპარსული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს, შეიძენს ფრაზეოლოგიური ერთეულების დიფერენცირების უნარს, მოხდება სპარსულ ფრაზეოლოგიზმთა სიტუაციურ-კონტექსტური გაანალიზება; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპარსული ფრაზეოლოგიური ფონდის ქართულთან მიმართების განხილვას.

2. *ძველი და საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა*
   Old and Middle Iranian linguistic epoch

კურსი შეისწავლის ირანული სამყაროს ძველ და საშუალო (ისლამამდელ) ეპოქას და ამ ორ მონაკვეთში ფუნქციონირებად ენათა სტრუქტურებს, იმდროინდელი ირანულენოვანი სამყაროს სოციოლინგვისტურ ვითარებას. საკითხის განხილვისას გათვალისწინებული იქნება ეთნოისტორიული და წყაროთმცოდნეობითი მხარეებიც.

3. სპარსული პოეტიკა
   Persian Poetry

კურსის მსვლელობისას მაგისტრანტები გაეცნობიან სპარსულ პოეტიკურ ტრაქტატებს, კლასიკური და თანამედროვე სპარსული პოეზიის ნიმუშებს, შეისწავლიან სპარსული პოეტიკის თეორიებს (ლექსთწყობის, რითმის და სიტყვაკაზმულობის თეორიებს).

4. *ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/*
   Oil, Water and Politic in the Near East (Regional and Global Context)
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

5. *ისლამური ქალაქი და საქალაქო ცხოვრება*
   The Islamic City and City Life
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

6. ყურანი
   Quran
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

7. *ისლამური ფუნდამენტალიზმი*
   Islamic Fundamentalism
   (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

8. *საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა*
   The Relations between Georgia and the Islamic World
   (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

9. *პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში /ახალი და უახლესი პერიოდი/.*
   The Political, Social-Economic and Cultural Processes in the Near East (Modern and Contemporary Period)

(კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

10. *აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში*
    East and West in the Modern and Contemporary period
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)